*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**

## სსიპ -ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
**წევრები:**
სალომე ოსეფაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ლალი ნადირაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ -ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 216295453 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი რუსთავი |
| იურიდიული მისამართი | ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი |
| საფოსტო ინდექსი | 3700 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | - |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | rustavi28@mes.gov.ge |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 599417335 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 623 0000551816 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 13-14 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| **N** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაწყებითი საფეხური | დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო | ქართული ენა | ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროგრამა | | |
| 2 | საბაზო საფეხური | საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი |
| 3 | საშუალო საფეხური | საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
2023 წლის 13-14 ივნისს, სსიპ ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:
თამარ მიდელაშვილი --ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)
წევრები:

1. სალომე ოსეფაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ლალი ნადირაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
6. თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
7. ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

9. ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
10. ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. 13 ივნისს ZOOM-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიათან დაკავშირებით, ხოლო 14 ივნისს ZOOM-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| - | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული | ☐შეესაბამება<br>**☐მეტწილად შეესაბამება**<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| მხარდაჭერა | ☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐შეესაბამება<br>**☐მეტწილად შეესაბამება**<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2** | **☐შეესაბამება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 900 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით მეტწილი შესაბამისობით შეაფასა სტანდარტი N3, შესაბამისობით შეაფასა სტანდარტი N1, სტანდარტი N2, სტანდარტი N4.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| ინდიკატორი | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| ინდიკატორი | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.2.1.2 | სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. | სკოლას არ აქვს შემუშავებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 21.09.2023) 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და წარმოდგენა. |
| ინდიკატორი N1.2.1.1.3. | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი.<br>ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას. | სკოლას არ წარმოუდგენია 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 21.09.2023) სამოქმედო გეგმის შემუშავება და წარმოდგენა. |
| | | |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული* | *ხარვეზი* |

---

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | **და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | |
| ინდიკატორი 3.1.2.3. | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების ნაწილ არ არის მოწესრიგებული (პირადობის მოწმობას ვადა ჰქონდა გასული ან დიპლომის ასლი არ იყო ნოტარიული წესით დამოწმებული, ნასამართლობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობი შესახებ ცნობები არ იყო წარმოდგენილი).<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, სკოლამ 2023 წლის 7 აგვისტომდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება. |
| ინდიკატორი N 3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.<br>კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე საგანგებო სიტუაციების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | მართვის გეგმის შესათანხმებლად;<br>წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახელზე სკოლის მდგრადობის შესახებ ცნობის გაცემასთან დაკავშირებით;<br>სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება N 25 (21/09/2023) რომელიც ითვალისწინებს საექსპერტო მომსახურებას 2023 წლის 31 ოქტომბრამდე. |
| ინდიკატორი N 3.6.3.1. | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას. | სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, რაც ხელს უშლის სასკოლო ცხოვრების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge |
| ინდიკატორი N 3.6.3.4. | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას | სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 3.6.3.5. | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. | სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge , რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ. |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N….* | | …………… |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.1.1.3 | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით | სკოლას შემუშავებული არ აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას მიეცა რჩევა სასკოლოს საზოგადოების ჩართულობით, შეიმუშაოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის, შემუშავების, გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები. |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი . | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N4.1.1.3. | მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; | სკოლას ყველა მოსწავლესთან არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. სკოლას მიეცა რჩევა დროულად გააფორმის ხელშეკრულება ყველა მოსწავლესთან და ხლშეკრულებაში შეიტანოს სკოლის მხრიდან მოსწავლის ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული თანხმობის საკითხი. |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | რჩევა |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

| | | |
|---|---|---|
| | (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | |
| *ინდიკატორი N....* | | . |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა, მისიის თანახმად ,,არის ღია, დინამიკური, სოციალური სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს მაღალი მიღწევების სტანდარტებს, შემონახული აქვს ქართული იდენტობისთვის აუცილებელი ღირებულებები ისე, რომ თან ასახავს ჩვენს ირგვლივ არსებულ ცვალებად გარემოს“.
   სკოლა საკუთარ როლს განსაზღვრავს შემდეგი ხედვით: ,,სსიპ ქალაქ რუსთავის #28 საჯარო სკოლა არის მიმდებარე თემში რეიტინგული საჯარო დაწესებულება, რომელიც პროფესიონალთა ძლიერი გუნდით, განათლების სისტემაში არსებული სტანდარტებზე და მოლოდინებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმით, ყოველდღიური საქმიანობით და თითოეულ მოსწავლის ინტერესებსა და განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული

კულტურით უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას და სწამს, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია წარმატების მიღწევა მიუხედავად მათი სოციალური - ეკონომიკური სტატუსისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა. სკოლის მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მისიით და ხედვით სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს სოციალურ სივრცეში, იმ თემში, რომლის ფარგლებშიც ოპერირებს და პროფესიონალთა გუნდით ცდილობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ტრადიციების შენარჩუნებას/დაცვას და თანაბარი პირობების შექმნას ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის. ადმინისტრაცია და მასწავლებლები გასაუბრებისას ადასტურებენ დაწესებულებაში არსებულ თანამშრომლობით გარემოს, რომლითაც ხელი ეწყობა ცალკეული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას. დირექტორის განმარტებით, პრიორიტეტულია სწორი დაგეგმვით, გუნდურობით, თანამშრომლობით და პატივისცემაზე აგებული ურთიერთობებით დაიძლიოს არსებული გამოწვევები და ცვლილებები.

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელიც განიხილება სამეურვეო საბჭოზე და, მასთან შეთანხმების შემდეგ, მტკიცდება სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია შემუშავებულია წლების წინ და როგორც დირექტორმა აღნიშნა, საჭიროებს განახლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია და ხედვა, როგორც აღვნიშნეთ, არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლის შეთანხმებასა და დამტკიცებაში მონაწილეობას იღებს სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო. საბჭოს ოქმები წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებების სახით. სასკოლო საზოგადოების სხვა ნაწილის ჩართულობა, როგორიცაა მშობლები და მოსწავლეები, დოკუმენტურად არ დასტურდება.

**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

5. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის ან/და საჯაროობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლაში არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა იგი გამოკრული იყო საინფორმაციო დაფაზე, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.
   **ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.
   **ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დირექტორის 2023 წლის 10 მაისის N1/კ-62 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის წესი, რომელშიც ასახულია შემუშავების ციკლური პროცესი: სკოლის მისიის ხედვის ღირებულებების შემუშავება/კრიტიკული ანალიზი/საჭიროებისამებრ ცვლილება, მონიტორინგის შედგების ანალიზი, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და სხვა საკითხები. დოკუმენტის შინაარსი მიუთითებს შემუშავების მეთოდოლოგიაზე, საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებზე.
   **ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავდა 2014-2020 წლებს.
   სკოლას არ აქვს 7 წლიანი (2023-2030 წლების) სტრატეგიული გეგმა. ასევე, არ არის განსაზღრული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი.
   **სკოლას მიეცა რეკომენდაცია განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, და ინტერესები და მათი გათვალისწინებით შექმნას სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი და სკოლის მისიის მიზნებსა და ამოცანებთან თავსებადი ციკლური 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.**
   <u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 21.09.2023) 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.</u>
   **ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლამ წარმოადგინა 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არ არის განახლებული. შესაბამისად, 7 წლიანი (2023-2030 წლების) სტრატეგიული და 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის არარსებობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდება მათი შესაბამისობების შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს 2023-2024 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 21.09.2023) სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სტრატეგიული გეგმის არარსებობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმაში ვერ მოხერხდება შესაბამისობის დადგენა სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და აქტივობებს შორის. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის წესი;
- 2014-2020 სტრატეგიული გეგმა;
- 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის წესში ასახულია შემუშავების ციკლური პროცესი: სკოლის მისიის ხედვის ღირებულებების შემუშავება, კრიტიკული ანალიზი, საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია, მონიტორინგის შედეგების ანალიზი, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და სხვა საკითხები.
   **ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს დაგეგმარების მეთოდოლოგია, თუმც დაწესებულების განმარტებით, დოკუმენტის ამოქმედება დაგეგმილია 2023-2024 სასწავლო წლისათვის.
   **ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას სტრატეგიული და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმები არ აქვს, რისი არარსებობაც ავტომატურად გამორიცხავს განხორციელების შედეგების დადასტურებას.
   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სტრატეგიული და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმები.
   **ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
4. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები განახლებული არ აქვს. როგორც დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, 2014-2020 სტრატეგიული და 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სტრატეგიული და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმები.
   **ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების შესახებ ერთიანი დოკუმენტი არ არის, თუმცა შემუშავებულია პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, ლაბორატორიის გამოყენების წესი, კომპიუტერული კაბინეტის მუშაობის წესი, საქმისწარმოების ერთიანი წესი, დამრიგებლის დებულება. შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მასწავლებლისა და დამრიგებლის მოვალეობები. სკოლას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, რომლებშიც ასევე ასახულია მათი ფუნქციები და მოვალეობები.

   **ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს საშტატო განრიგი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ყველა ის პოზიცია და რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის, ცვლებისა და სხვა საქმიანობების განხორციელებას. განაწილებულია სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და მოვალეობები რომელთა მონიტორინგს აქტიურად ახორციელებს სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე.

   **ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პედაგოგიური საბჭოს დებულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის დებულება;
- სადამრიგებლო დებულება;
- საშტატო განრიგი;
- ხელშეკრულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვა ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესში გათვალისწინებულია სამუშაო და შესვენების დრო, ისევე, როგორც შრომით ხელშეკრულებებში. გადანაწილებულია ფუნქციები სტრუქტურული ერთეულებისთვის, რომელიც გათვალისწინებულია როგორც შიდა რეგულაციებით, ასევე, ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით. პერსონალის მართვის წესი/პოლიტიკა ცალკეულ დოკუმენტად სკოლას შემუშავებული არ აქვს, თუმცა ინტერვიუირების შედეგად იკვეთება მართვის პროცესების ორგანიზებულობა.

**ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

3. სკოლას საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკეულ დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული. გარკვეულწილად, მას არეგულირებს შინაგანაწესი. ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ გარემო არის თანამშრომლობითი და გუნდური, რაც ხელს უწყობს პერსონალის მართვის პროცესებს, მოვალეობების დელეგირებასა და მოქნილობას.

**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა ახალი კადრების შერჩევისთვის სრულად მიჰყვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ვაკანსიების გამოცხადებას სკოლა უზრუნველყოფს pedagogi.ge -ზე, რომლის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას. ვაკანსიის ვადები არის დაცული და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა კანდიდატთა გადარჩევისა და ვაკანსიის ეტაპების დამადასტურებელი ოქმები. უმეტესი პერსონალის პირად საქმეებში არის ყველა საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დიპლომის ასლი, ცნობები, CV/შრომის წიგნაკი, ფოტო და სხვადასხვა სერტიფიკატები, თუმცა, **გამოიკვეთა შემთხვევები, რომ პირადობის მოწმობას ვადა ჰქონდა გასული ან დიპლომის ასლი არ იყო ნოტარიული წესით დამოწმებული, ნასამართლობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის შესახებ ცნობები არ იყო წარმოდგენილი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს თანამშრომელთა პირადი საქმეები.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, სკოლამ 2023 წლის 7 აგვისტომდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

**ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლის მასწავლებლების თითქმის სრული უმრავლესობა არის უფროსი მასწავლებელი, სკოლას ასევე ჰყავს 1 წამყვანი და 1 მოწვეული მასწავლებელი.

**ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც მეტწილად გამოხატულია კათედრების მუშაობასა და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობაში. ვიზიტის დროსაც ნათლად იკვეთებოდა გუნდურობა, თანამშრომლობა, მოქნილობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და კეთილგანწყობილი გარემო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

**ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს წახალისების მექანიზმი, კერძოდ, მადლობის გამოცხადება, სიგელი, ფასიანი საჩუქარი. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, ყოველდღიურ პროცესებში წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება ასევე ხდება საჯაროდ, პედაგოგიურ საბჭოზე.

**ინდიკატორი 3.1.1.6. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- Pedagogi.ge;
- ვაკანსიის გამოცხადების ბრძანება და ოქმები;
- ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის შეფასებას და რეფლექსიას. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, ტრენინგებში, კვლევებში, საკვალიფიკაციო კურსებში და იმაღლებენ კვალიფიკაციას (მაგალითად, მონაწილეობდნენ USAID-ის საბაზისო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში, ტომპის პროექტში და სხვა). ადმინისტრაციასთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროებების დადგენა ხდება ზეპირსიტყვიერად, გაკვეთილებზე დასწრებისა თუ პირადი მოხსენებების საფუძველზე.

   **ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ყოველწლიურად განსაზღვრავს წლის პრიორიტეტებს. მაგალითად, 2022-23 სასწავლო წელს ეს იყო სასწავლო ინტერნეტ რესურსების გამოყენება სწავლებაში, წინა სასწავლო წლებში იყო დაკვირვება დიაგნოსტიკური წერების ეფექტურობაზე, დისტანციურ სწავლებაზე. სკოლის ფსიქოლოგმა გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშავა 7 მოდული, რომელიც უკავშირდება მასწავლებლებში კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას. ამ მოდულების ქოუჩინგი სკოლაში პერმანენტულად მიმდინარეობს. გარდა ამისა, გასაუბრებით დგინდება, რომ Tomp და USAID პროექტების ფარგლებში, სკოლის დირექტორი, ექსპერტთან ერთად, ესწრება გაკვეთილებს, მონაწილეობს შეფასებაში. თუმცა, დოკუმენტურად ეს მასალა არ არის წარმოდგენილი.

   **ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა პერსონალს ხელს უწყობს კარიერულ ზრდაში, განსაკუთრებით - მასწავლებლებს. მაგალითად, მასწავლებლობის მაძიებლები გახდნენ უფროსი მასწავლებლები, უფროსი მასწავლებლების გარკვეულ ნაწილს სტატუსი მოპოვებული აქვთ სკოლაში მიმდინარე პედაგოგიური საქმიანობით - კოლეგებისა და ადმინისტრაციის ხელშეწყობით. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში, ვხვდებით სტატუსის ცვლილებაზე მასწავლებელთა წარდგენის დამადასტურებელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

დოკუმენტაციასაც. წამყვან და მენტორ მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აქტიურად მუშაობს მაძიებლობის პროგრამა.

**ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4.ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რომელიც მოიცავს მის გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მისი აზრისა და მოლოდინების მოსმენას, თანამშრომლებთან წარდგენას, კათედრის ხელმძღვანელის მხრიდან ორიენტირებას, სკოლის შენობისა და ინფრასტრუქტურის გაცნობასა და პირადი საქმის შედგენას.

**ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში იგრძნობა პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რომელშიც მასწავლებლებს შეუძლიათ ინიციატივების გაჟღერება. წარმოდგენილი იყო სოციალური პროექტები (მაგალითად,სამოქალაქო განათლების გაკვეთილი კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და უცხო ენის გამოყენებით, გაკვეთილი - წყალი სიცოცხლის საწყისი და სხვა.) სკოლის მხარდაჭერით. ინიციატივების წახალისების მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში.

**ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სოციალური პროექტები;
- მასწავლებლის პირადი საქმეები;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (05/09/2019 , ბრძანება N59).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერიითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგანმანათლებლო საქმიანობისადმი პროცესული მართვა სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული არ აქვს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, შემუშავებულია შინაგანაწესი, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სტრატეგიული გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელსაც, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, აფუძნებს მმართველობის პროცესებს და ციკლური უზრუნველყოფა ხდება ზეპირსიტყვიერად.

**ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესაბამისი დოკუმენტაცია. სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ და სხვა.

**ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ყველა საკითხს (სხვა შემთხვევაში პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორი).

   **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ბულინგის დებულება, მოსწავლის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი, ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების წესები.

   **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- ბულინგის დებულება;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

1. სკოლაში არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიური ორგანოები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. რაც შეეხება ინფორმირებასა და უკუკავშირის მექანიზმს მშობლებთან, სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელშიც აღწერილია სკოლის მოქმედებები სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის, ეფლოუსა და ვიზიტორებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეგიური ორგანოები ( სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში მათი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, რაც დასტურდება ოქმებით. მაგალითად, სასკოლო გეგმის დამტკიცება, შინაგანაწესის დამტკიცება, ბიუჯეტის დამტკიცება, შესყიდვების გეგმის შედგენა, ანგარიშების მოსმენა და სხვა. რაც შეეხება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, დირექტორთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ღონისძიებების ორგანიზებაში, გასვლით ღონისძიებებში და სხვა აქტივობებში.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კოლეგიური ორგანოების ოქმები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლის ტერიტორია შემოღობილია, უზრუნველყოფილია დაწესებულებაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგი. სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა (18 ერთეული კამერა) უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის, მათ შორის სპორტული მოედნისა და ეზოს ნაწილის ვიდეო დაკვირვებას. სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელის, ლაბორატორიისა და კომპიუტერების კაბინეტის ვიდეო დაკვირვებას, მაგრამ არ ხდება კიბის უჯრედების და ეზოს პერიმეტრის სრული კონტროლი. სკოლას აქვს თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცხელი ხაზი და საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი ( 2 სახანძრო ფარი და 9 ცეცხლმაქრი. ყველა ცეცხლმაქრზე

დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები), შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან". სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძნებით N 2-95 (24.02.2023) განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა და წევრების ფუნქცია-მოვალეობები, საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა, მაგრამ როგორც **თვითშეფასებით ირკვევა,** სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საჭიროებს ცვლილებებს, ვინაიდან სრულად არ პასუხობს განახლებულ საევაკუაციო გეგმას და სკოლის საჭიროებებს. ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ გარკვეული ცვლილებები განხორციელებულია.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სახელმწიფო **სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით,** მაგრამ წარმოადგინა მიწერილობა N2030, 21/10/2019, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე. ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლას გამოსასწორებლად, 2020 წლამდე ვადით მიეცა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა **ნაწილიც** შესრულებულია.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია ყველა საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები. **თუმც, სკოლაში ვერ მოხერხდა ღია კონკურსით კვალიფიციური სამედიცინო კადრის შერჩევა და გამოცხადებულია კონკურსი სკოლის ექიმის პოზიციაზე.**

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ,</u>

- <u>დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე საგანგებო</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.

- დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახელზე სკოლის მდგრადობის შესახებ ცნობის გაცემასთან დაკავშირებით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება N 25 (21/09/2023), რომელიც ითვალისწინებს საექსპერტო მომსახურებას 2023 წლის 31 ოქტომბრამდე.

**ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2.უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური.
გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სამსახურებრივი ქცევის მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები, თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და მოვალეობები, დისციპლინური დევნისა და დისციპლინური წარმოების წესი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ემსახურება მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა.

**ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. დაწესებულებამ ამ მიმართულებით წარმოადგინა სადამრიგებლო საათის საინტერესო თემატიკა და სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი ( I-V კლასის სსსმ მოსწავლეთა შეხვედრა ფსიქოლოგთან, მიზნობრივი ფილმის ჩვენება, პოლიციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება VIIკლასში, საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტული ოლიმპიადა კალათბურთში და სხვა). სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო და დერეფნები ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი - ,, სკოლის მატერიალური ბაზის და ტერიტორიის მოვლა-პატრონობის, მატერიალური მარაგების შენახვის, მოვლა-პატრონობის და გაცემის წესი“ (ბრძანება N1/კ - 27 24.02.2023), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის მატერიალური ბაზის და ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, სკოლის პრევენციული/მიმდინარე სანიტარული მოვლა-პატრონობა, დასალაგებელი ინვენტარის და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი, სკოლის შენობის დაცვა დაბინძურებისაგან და სხვა. დაწესებულების ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.

სველ წერტილებში არის ონკანები, ნიჟარები და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახები. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება ჩაკეტილ სათავსოში.

**ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (ბრძანება N1/კ-07), რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლებებს. განსაზღვრულია მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების, ელექტრონული ჟურნალის წარმოების, ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას და ა.შ.

**ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. საინფორმაციო მენეჯერის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საინფორმაციო მენეჯერი, პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე, თუმც, სკოლას არა აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

**ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები და გეგმავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები: ფსიქოლოგთა, საინფორმაციო მენეჯერთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან;

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით (18.05.2023);
- მიწერილობა სსიპ-საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (26.01.2023);
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება

**☐მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის სკოლას აქვს

   შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლა მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მე-19 მიკრო რაიონში, არის 2 სართულიანი (სარდაფი - 1,020 კვ.მ, პირველი სართული - 1,273 კვ.მ, მეორე სართული - 1,279კვ.მ) სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 3,572 კვ.მ და საქვაბე - 19,84 კვ.მ). სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, 16 საკლასო ოთახი და კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით, პროექტორებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე. სკოლას ასევე აქვს 73 კვ.მ სპორტული დარბაზი ( გასახდელებით და სხვადასხვა დანიშნულების სპორტული ინვენტარით და სპორტული მოედანი.

**ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერების კაბინეტი, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სამასწავლებლო და სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. გაწერილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

კომპიუტერების კაბინეტით, ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სასწავლო პროცესში მოსწავლეს პირად სივრცესთან ერთად აქვს სივრცე კლასგარეშე და ფიზიკური აქტივობებისთვის.

**ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლისთვის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა პრიორიტეტულია. სპეციალური საჭიროების პირთათვის

ადვილია სკოლაში შესვლა პანდუსის დახმარებით. პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო ეტლით მოსარგებლისათვის.

**ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. შენობის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, დერეფანი, ეზო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, კომპიუტერების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საგამოფენო სივრცე და სამუშაო სივრცეები სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის შესაძლებლობას ქმნის სკოლის ბაზაზე განხორციელდეს სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

**ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. აქვს კეთილმოწყობილი თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური მასალით. ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალებით (კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები, თემატური პლაკატები, თვალსაჩინოებები). რეაქტივებისათვის ლაბორატორიაში არის სპეციალური კარადა (საცავი). ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება, აღჭურვილია გამწოვი კარადით და არის რამდენიმე სველი წერტილი (ონკანი და ნიჟარა). ლაბორატორიის აღჭურვილობა აკმაყოფილებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანების მოთხოვნებს. დაწესებულების პირველ სართულზე ფუნქციონირებს კომპიუტერების კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტის მუდმივ ქსელზე ჩართული 13 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერებით აღჭურვილია სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები. კომპიუტერები

განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, სამუშაო საათები, რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების ეფექტურ განხორციელებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნები - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდიკა, (სულ 26 000 ერთეული წიგნი). წიგნები დამუშავებულია შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი და შეტანილია კატალოგში, შექმნილია მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული 1 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

**ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ფინანსური ანგარიშების დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▫ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერული კაბინეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ტექნიკა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის (office 365, Teams, Forms, OneDrive, Zoom, Gmail, Messenger, Facebook, openbiblio ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივ გამოყენებას. კომპიუტერების კაბინეტი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომას. კაბინეტში განთავსებულია ინტერნეტის მუდმივ ქსელზე ჩართული 13 პერსონალური კომპიუტერი. სულ დაწესებულებაში არის 46 კომპიუტერი და ლეპტოპი, 22 პროექტორი, 9 პრინტერი და ქსეროქსის აპარატი. სკოლაში არის მუდმივი ინტერნეტკავშირი.

**ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. კომპიუტერული კაბინეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისთვის. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში ელექტრონული კომუნიკაციისთვის საჭირო რესურსი. ისინი იყენებენ სკოლის ტექნიკას და სკოლაშივე მუშაობენ პროექტებზე.
დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, განრიგი და გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (ტექნოლოგიების მასწავლებელი).

**ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

- კომპიუტერული კაბინეტის მუშაობის დებულება; ბრძანება N2-40 (22/02/2023);
- 2022-23 სასწავლო წლის ციფრული ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმა.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. დოკუმენტი არეგულირებს დოკუმენტბრუნვის შემდეგ საკითხებს: დოკუმენტის რეგისტრირება, დოკუმენტის ფორმები და ტიპები, შემოსული და გასული კორესპონდენციების, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების რეგისტრაცია, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებების და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, საარქივო დოკუმენტების გაცემა და ა.შ.
აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. გარდა ამისა, საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას.

**ინდიკატორი 3.6.2.1.დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ხდება ინფორმაციებისა და დოკუმენტების მიიღება. დოკუმენტბრუნვისას სკოლა იყენებს შემდეგ ელექტრონულ სისტემებს - **e-flow, Office365, eSchool.**

**ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

3. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლა ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge). მის წარმოებაზე და განახლებაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

**ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. მას აქვს მუდმივი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი და ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის (უნარები, სამუშაო სივრცე, რესურსები და სხვა).

**ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას.
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. ამ მიზნით იყენებს საინფორმაციო დაფას, სადაც განთავსებულია საჯარო ინფორმაცია, განცხადებები და სასკოლო დოკუმენტები. მშობელთან კომუნიკაციისთვის შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (24/02/2023 ბრძანება 1/კ-23), რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის ასევე გამოყენებულია ინფორმაციული შეხვედრები როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე (Microsoft Teams). სკოლის შესასვლელში დამონტაჟებული ტელევიზორის ეკრანზე გამოტანილია სკოლის მისია და ხედვა. სკოლის ელექტრონული ფოსტა rustavi@28mes.gov.ge გამიზნულია შიდა და გარე კომუნიკაციისთვის. სკოლას აქვს სოციალური ქსელი და ელექტრონული ჟურნალი, მაგრამ **არ აქვს ვებ გვერდი, რაც ხელს უშლის სასკოლო ცხოვრების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას.**
   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge

**ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საინფორმაციო დაფაზე დაუშვებელია დირექციასთან შეთანხმების გარეშე განცხადების ან სხვა ინფორმაციის განთავსება.

**ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

3. გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ ყველა ინფორმაციას ეცნობა დირექტორი და სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე ახდენს უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის

გასაუმჯობესებლად, თუმც სკოლას არ აქვს შემუშავებული უკუკავშირს როგორ იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი,

**ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლას მოქმედი ვებ გვერდი არ აქვს.** ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ვებ-გვერდის შექმნას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge

**ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://rustavi28.edu.ge

**ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით, ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს.

**3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. დაწესებულების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება. დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით.

**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საპროგნოზო ბიუჯეტი ;
- სსიპ თბილისის 28-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხორციელდება შინაგანაწესით. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ბულინგის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, წესრიგის დაცვის მექანიზმები. სრულწლოვან მოსწავლეს ან მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს დირექტორს განცხადებით ამა თუ იმ უფლების დარღვევის თაობაზე, რის შემდეგაც იწყება წარმოება. მნიშვნელოვანი პრეცედენტი სკოლაში ამ დრომდე არ დაფიქსირებულა, თუმცა დისციპლინურ გადაცდომებზე სკოლაში არსებობს რეგულაციის შესაბამისი რეაგირებები.

**ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მარეგულირებელი აქტები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების თაობაზე გაზიარებულია პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ტარდება მშობელთა კრებები, რა დროსაც მშობლებს ეცნობებათ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, ცვლილებები შინაგანაწესში. ხოლო დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში დროს უთმობენ თემებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

**ინდიკატორი 4.1.1.12 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, თუმცა ისინი საჭიროებს კორექტირებას და დაზუსტებას, მაგალითად სკოლის მხრიდან მოსწავლის ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით. მართალია, მშობლებისთვის თანხმობა კრებებზე აქვთ ჩამორთმეული, თუმცა უმჯობესია თუ აღნიშნული რეგულირებული იქნება ხელშეკრულებით. ასევე, ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული ყველა მოსწავლესთან.

<u>სკოლას მიეცა რჩევა დროულად გააფორმის ხელშეკრულება ყველა მოსწავლესთან და ხელშეკრულებაში შეიტანოს სკოლის მხრიდან მოსწავლის ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული თანხმობის საკითხი.</u>

**ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- ბულინგის დებულება;
- მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მოსწავლის ხელშეკრულება;
- წესრიგის დაცვის მექანიზმები.

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის კონკრეტული მექანიზმები (მშობელთან კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება და სხვა). სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლეთა საჭიროებები, ჯანსაღი კომუნიკაციის ფორმები.

**ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას განსაზღვრული აქვს პოლიტიკა, თუ სწავლის დაწყების მომენტიდან როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით, ყველა კლასს ყავს დამრიგებელი, განსაზღვრულია კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები, გაწერილია სადამრიგებლო საათის თემები. კლასის დამრიგებელი სწავლის დაწყებისას მოსწავლეებს აცნობს სიახლეებს, შინაგანაწესით განსაზღვრული წესებს, უფლებებს, მოვალეობებს და ეხმარება მათ ადაპტაციის პროცესში.

**ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება. უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და ჩართვა სასწავლო

პროცესში. სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პოლიტიკა. მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში იგეგმება რემედიაცია.

**ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლა საკუთარი სერვისების დროულად და ხარისხიანად მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობასა და განათლების შეუზღუდავად მიღებას (მშობლის მომართვის საფუძველზე მოსწავლის დროულად გადაყვანა შინ სწავლებაზე, ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა და ა.შ.). მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას ემსახურება სკოლის თვითმმართველობაც.

**ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. შექმნილია თვითმმართველობა, რომელსაც შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფილია დამატებითი/არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამები, გაწერილია კლუბების მიზნები და ამოცანები.

**ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.**

**6.** სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის საჭიროებების გამოვლენის მიზნით, აქვს მცდელობები უკუკავშირი გამოიყენოს სასკოლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თუმც, დოკუმენტურად არ აქვს გაწერილი და გეგმავს ერთიანი დოკუმენტის შემუშავებას, თუ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე როგორ და რა ფორმით მოხდება მომსახურების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

**ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- სსსმ მოსწავლის ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- თვითმმართველობის ოქმი N1;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში;
- კლუბების პორტფოლიოები.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიების გაცნობა და ამ მიზნით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯ ,,მოდუსთან“.

**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.
სკოლას აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერლაბორატორიის მიერ ორგანიზებულ პროექტ ,,უნილაბი სკოლაში“ თანამშრომლობის გამოცდილება. პროექტის ფარგლებში VIII-IX კლასის მოსწავლეები ეცნობიან თანამედროვე პროფესიებს.

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწყობს შეხვედრებს ფსიქოლოგთან, სსსმ მოსწავლის მშობელთნ, მაგრამ არ განუხორციელებია მომხმარებლისა და სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა გაწეული მომსახურების შეფასების თაობაზე.

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

- მემორანდუმები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. სსსმ მოსწავლის მშობელთან შეხვედრაზე სკოლის მიზნობრივი ჯგუფი ეცნობა ინფორმაციას მოსწავლის ქცევის, ემოციური და აკადემიური მდგომარეობის შესახებ. კლასის დამრიგებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად გეგმავს შეხვედრებს და ყალიბდება ისგ ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ადაპტაციას სკოლაში. იდენტიფიცირებულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობს ისგ ჯგუფი. სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს უწევს დამატებით მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს და შესაბამის რეკომენდაციებს.

სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, 2 სპეციალური მასწავლელი. სკოლას აქვს 2 რესურს ოთახი პირველ სართულზე და ადაპტირებული სველი წერტილი. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური გეგმები და პორტფოლიოები.

**ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.**

1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებაზე. ფსიქოლოგისა და სპეციალური მასწავლებელთა სამუშაო მასალების გაცნობა ადასტურებს სკოლის მზაობას ამ მიმართულებით.

**ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასკოლო სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

- ბრძანება სსგ ჯგუფის შესახებ;
- შრომითი ხელშეკრულებები ფსიქოლოგთან და მეტყველების პედაგოგთან;
- ისგ გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ  დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება არ ხორციელდება.

**ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.**

2. არაფორმალური განათლების წრეები, კლუბები წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. კლუბებსა  და წრეებში გაწევრიანება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

**ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

**3.** დირექტორთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების წრეები იფუნქციონირებენ განრიგის შესაბამისად, ხელმძღვანელთა ვინაობის, წრის მიზნების, სამუშაო გეგმის, კვირეული დატვირთვის განსაზღვრით და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**☐შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**დაწყებითი საფეხური**

**მათემატიკა**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**მათემატიკა**

1. მათემატიკაში, დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. მათემატიკაში, დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებელი ადგენს მათ ინტერესებს თემასა და კომპლექსური დავალების ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება გამოკითხვა, სადაც აქტიურად არიან ჩართული მშობლებიც.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მთელი საგნობრივი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან რომელ თემებს ასწავლიან, რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ და რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ .

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ საზოგადოებისთვის სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

**2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას - კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. წარმოდგენილ

კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებით საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. დავალების მიმდინარეობისას იკვეთება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება.

**ინდიკატორი 2.1.2.2დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. კათედის წევრებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება. კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმა .

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიებს იმის თაობაზე, თუ რომლმა კომპლექსურმა დავალებამ , რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.2კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. მაგალითად, საინტერესოა ერთ-ერთი კომპლექსური დავალება ,, სკვერის მოწყობა/დაგეგმარება''.

**ინდიკატორი 2.2.1 .1დაკმაყოფილებულია**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე, იქ სადაც წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, კითხვებზე პასუხის შემთხვევაში შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება.

**ინდიკატორი 2.2.1.2დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

3. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა და შეფასება. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგალითად, კომპლექსური დავალება ,,ზოოპარკი ''განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა და შექმნას საბოლოო პროდუქტი.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლადა ჩანს საგნობრივ კურიკულუმში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქცირი გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად ფინანსური მათემატიკა, სკვერის დაგეგმარება და სხვა.

**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

.........1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მათემატიკის საამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით.

**ინდიკატორი 2..2.2 .1 დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს , რომლის ფარგლებშიც ქმნიან პროდუქტს. მაგალითად, დაგეგმე მოგზაურობა, ამ დავალების ფარგლებში, მოსწავლეები ადგენენ მოგზაურობისთვის საჭირო ნივთებსა და ითვლიან ხარჯებს , მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა , უვითარდებათ კომუნიკაციის უნარ -ჩვევები.

**ინდიკატორი 2..2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. დაწყებითი საფეხურის დაწყებითების მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან თემის შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

**ინდიკატორი 2..2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე.

**ინდიკატორი 2..2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5.გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

**ინდიკატორი 2..2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

**ინდიკატორი 2..2.2.6 დაკმაყოფილებულია**.........................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

**ინდიკატორი 2..2.3.1დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭიროებები. დაგეგმილია კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან.

**ინდიკატორი 2..2.3.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

3. გასაუბრების დროს აღინიშნა , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება.

**ინდიკატორი 2..2.3.3დაკმაყოფილებულია.**

4. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში.

**ინდიკატორი 2..2.3.4დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**☒შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურუკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია, მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგ.: ეგრისის მეფის კარზე გამოსავლელად საჯარო სიტყვის მოზადება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ -დავალების შესასულებლად საჭიროა ყველა გლობალურ-ფუნქციური უნარის გამოყენება.

**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება.

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

**4.**საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას მტკიცებულების სახით არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.საზოგადოებრივი მეცნიერების დაწყებითი საფეხურზე სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიებს, ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

***(მტკიცებულებები):***

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის გეგმა;
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**☐შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.3 კურიკულუმის განხორციელება**

**სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემული მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მაგ.: გადავარჩინოთ ჭალის ტყე- მოხსენება (გეოგრაფია); არგუმენტირებული ესეს ადრეული ქორწინებს შესახებ (მოქალაქოება)

**ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. ინტერვიუს დროს პედაგოგეგბმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოდ მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს მოცემული დავალების შესასრულებლად მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. შემდგომ კი ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კათედრის მიერ შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას ,სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა ორივე საგანში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

5.საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლადა ჩანს. დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მაგ.: პიროვნებათშორისი კონფლიქტების მართვა - ქცევის კოდექსის შემუშვება

**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმები;*
- მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებები (ფოტოები)
- სასწავლო აქტივობები (ფოტოები)
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულ სავალდებულო თემებში, საკითხთი/საკითხებით მუშავდება სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარიმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევ, რომ საზგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშც მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს.

მაგალითად, სოციოლოგიური კვლევის ჩატარება მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და პრობლემის მოგვარებისთვის პროექტის შექმნა. ამ გზით მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, უვითარდებათ კომინიკაციის უნარ -ჩვევები.

**ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.საბაზო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასებებით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი. ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

**ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდებან ისინი. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

**ინდიკატორი 2.2.2.4დაკმაყოფილებულია5.**გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

**ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად.

**ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

- *კურიკულუმი;*
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური  დავალებები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.  სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსავლის საჭროებები.  იმართება კომპლექსური დავალების  დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან.

**ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში  კარგად ჩანს,  რომ  კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია  სკოლის წარმატებისათვის. სასკოლო კურიკულუმისა და  ინდ. სასწავლო გეგმების  შემუშავება ხდება ყველა მასწავლებლის აქტიური თანამშრომლობით. სკოლაში ხორციელდება: ინტეგრირებული გაკვეთილები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა.

**ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კარგად ჩანს თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. კათედრა თანამშრომლობს ერთმანეთთან, ტარდება საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში.

**ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *https://www.facebook.com/profile.php?id=100040895503078*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*
- *სასწავლო და სოციალური პროექტები*
- *ფოტოები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**☒შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.5 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1** სკოლასში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას .

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც

შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას ,

გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას . საზოგადოებრივი მეციერებების დაწყებითი კლასების პედაგოგები პრობლემის

მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მოსავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

**ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვევა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების , ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

**ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს . ასევე ამ ფაქტორებს ითვალისწინებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დროს.

**ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**☒შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი , მაგრამ აქვთ მზაობა და აპირებენ შექმნან, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები, პასუხისმგბლობების დელეგირება, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ .

**ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

# საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლას გააჩნია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის გამოცდილელება, შესაბამისად, წინა წლის გამოცდილებას სკოლა ითვალისწინებს მომდევნო წლის კურიკულიმის დაგეგმვისას, რასაც ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრება. წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები, ანალიზის საფუძველი ხდება. რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებელი ადგენს მათ ინტერესებს თემასა და კომპლექსური დავალების ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება გამოკითხვა, სადაც აქტიურად არიან ჩართული მშობლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებული**

3.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მთლიანად კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. სამუშაო პროცესში მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. პედაგოგები განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. აანალიზებენ სტანდარტის მიხედვით სასწავლო თემებს და თანხმდებიან რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ. რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.მასწავლებლებთან ინტერვიუს ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ კათედრის გარდა, ვანდრაივის პლათფორმის და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფების მეშვეობით ხდება საზოგადოებისთვის კურიკულუმის გაზიარება. დაინტერესების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

**4.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.აგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. წარმოდგენილ ჩარჩოებში, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ არ ჩანს რესურსები, რაზეც დაფუძნებული უნდა იყოს სასწავლო პროცესი, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ის, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ სივრცე, სადაც განთავსებულია თითოეული კონტექსტ-მაგალითის შესასწავლად საჭირო რესურსები.

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და შედეგები. ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). ფიზკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შევსებული, რომ თითქმის ყველა თემაშია წარმოდგენილი თითო კომპლექსური დავალების იდეა. სამივე საბუნებისმეტყველო საგანში ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას.

**ინდიკატორი 2.1.2.2დაკმაყოფილებულია**

3. საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება. ზეპირ ინტერვიუში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გაითვალისწინეს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, მუშაობის პროცესში მოახდინეს დავალების ადაპტირება.  ზოგიერთ შემთხვევაში  საჭირო გახდა პირობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

გართულება და პირიქით. კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმა.

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. სკოლა მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავს, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისა და გამოყენების კარგი გამოცდილება აქვს შეაფსების აღნიშნული სისტემა მათ ეხმარება გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში საბაზო საფეხურის საბუნებიმეტყველო მეცნიერების მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიებს. რომლმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მასწავლებლები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები (კომპლექსური დავალება)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

☐არ შეესაბამება

**ხ.კურიკულუმის განხორციელება**

**iii. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. მაგალითად, ფიზიკაში ნივთიერების აგებულების შესახებ დაკავშირებულ ერთ-ერთ კომპლექსურ დავალებაში მე-7 კლასის მოსწავლეებმა შექმნეს სტატია და იქ განათავსეს ფოტოები ჩატარებული ექსპერიმენტების შესახებ. საბუნებისმეტყველო კაბინეტში განთავსებულია საბაზო საფეხურის კლასების მიერ შემნილი მრავალი საინტერესო რესურსი.

**ინდიკატორი 2..2.1 .1 დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩარჩოებიდან ჩანს, რომ პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, წარმოდგენილ დავალებათა იდეებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების პირობა ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს. მაგ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

**ინდიკატორი 2..2.1.2 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

3. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩარჩოებით განსაზღვრულ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოდ მონიტორინგი. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იწვევს მოსწავლის დააფიქრებას სწავლის პროცესზე.

**ინდიკატორი 2..2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. საგნობრივი კურიკულუმი ცნებსა და მკვიდრე წარმოდგენებზე ორიენტირებულია. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა. შემდეგ ეტაპზე, მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის, თუ როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე მოსწავლეს უკვე ერთი და იმავე საკითხი მრავალმხრივად აქვს დამუშავებული, მოსწავლე უკვე შეძლებს თემისა და მკვიდრი წარმოდეგენების ფარგლებში შეძენილი ცოდნით ცოდნის უნუვერსალურად გამოყენებას. ამგვარად, კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

**ინდიკატორი 2..2.1.4 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ გეგმავს გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, სესაბამისად, სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლადა ჩანს საგნობრივ კურიკულუმში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

13. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
14. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სწავლა სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. ყოველივე ეს უზრუნველყოფილია რეალიზებული კომპლექსური დავალებებით. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის გამოცდილება სკოლას გააჩნია შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, შერჩეულ კომპლექსურ დავალებებზე საფუძველზე.

**ინდიკატორი 2..2.2 .1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურის კლასების საბუნებისმეტყველო მეცნიერების მოსწავლეები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც ქმნიან პროდუქტს. მაგალითად, ფიზიკაში VIII კლასში სითბური მოვლენების შესწავლისას შეიქმნა იგლუს მოდელი. ამ დავალების ფარგლებში, მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. ამასთან ქიმიის მასწავლებელმა მოსწავლეები წაიყვანა ექსპერიმენტორიუმში. აღნიშნული ვიზიტი აკადემიერი განათლების გარდა ემსახურება დადებითი ემოციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

**ინდიკატორი 2..2.2 .2 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

5. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს დაანახონ თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ჩამოუყალიბონ ადეკვატური თვითშეფასება. ამისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შერჩეული დავალება, თანამონაწილეობა საერთო მუშაობაში, მისი შეფასება და შესაბამისი უკუკავშირი. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

**ინდიკატორი 2..2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შეფასება მართლაც ვალიდურია (მიზანთან შესაბამიია), მოსწავლეებს აქვთ გაცნობიერებული, რომ მათ თავიანთი ნაშრომის შეფასება უნდა იცოდნენ ზუსტად და იქამდე, სანამ დავალებაზე დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებლები ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. სკოლაში ხდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვა. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

**ინდიკატორი 2..2.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლას არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, თუმცა სკოლის გააჩნია სამომავლო გეგმა: სკოლა შეიმუშვებს განმავითარებელი შეფასების გაზომვად ინდიკატორებს, რომელიც დაკავშირებული იქნება კომპლექსური დავალების ნაბიჯებთან, აქტივობებთან. განმავითარებელი შეფასების ინფდიკატორები გამოყენებული იქნება სადიაგნოსტიკო წერებისას.

**ინდიკატორი 2..2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც წარმოდგენილია როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში, ასევე დადასტურდა გასაუბრების შედეგად: მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

**ინდიკატორი 2..2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ყოველგვარ მხარდაჭერას უცხადებენ მოსწავლეს: აწვდიან რესურსებს მათთვის ნაცნობ კონტექსტებზე, განმავითარებელ შეფასებას აძლევენ მოსწავლეებს.
სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სასწავლო პროცესში. ხორციელდება საგნობრივი პროექტები , რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, შექმნილია პოზიტიური გარემო.

**ინდიკატორი 2..2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებლად. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ, მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდეს თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით.მასწავლებლების მზაობა ამ საკითხების მიმართ ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**ინდიკატორი 2..2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას პირველ რიგში ცდილობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირებით, მაგ. სკოლის მართვის პოლიტიკა თავლყურს ადევნებს იმ მოთხოვნების შესრულებას რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურიგეგმების შემუშვების, კათედრის მიერ ერთობლივად დავალების შესრულების, მოსწავლესთან წარმოქმნილი დილემის მართვის, საერთო სასკოლო დავალების შესრულების, კურიკულუმისგანვითარების პროცესში ჯგუფებში ჯანსაღ კომუნიკაციას და თანამშრომლობის კულტურის შექმნას. სკოლაში არსებობს მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობითი კულტურა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორი 2..2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. კათედრა თანამშრომლობს ერთმანეთთან, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში  და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. საკლასო ოთახში პოზიტიურ კლიმატის შექმნაზე თანაბრად ზრუნავს ადმინისტრაცია და მასწავლებლები. სკოლის შიდა და გარე სივრცე  კარგად არის მოწყობილი და მეტწილად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იგრძნობა სკოლის ადმინისტრაციის მზაობა პრობლემური საკითხების სათანადო დონეზე გადაჭრისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.6 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლამ გადადგა ნაბიჯი კურიკულუმის განვითარების მიმართულებით, ჩამოაყალიბა ხედვა და შექმნა დიზაინი, შემდგომი ეტაპი იქნება კურიკულუმის განვითარების ხელშემწყობი დოკუმენტის ფორმირება, რომელიც იქნება სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და რომლითაც მოხდება კურიკულუმის განვითრებაზე ზრუნვა. რადგან კურიკულუმის განვითრება მოიცავს მის მონიტორინგზე ზრუნვასაც, შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, პასუხისმგებლობები, ვადები და ინსტრუქციები.

**ინდიკატორი 2..3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგის და შეფასების პროცესი ემსახურება როგორც მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერესებს, ასევე კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ასევე მონიტორინგის მიზანი იქნება მასწავლებელს დაეხმაროს კურიკულუმის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები იდენტიფიცირებაში ან მოიკვლიოს ის მატერიალური საჭიროებები, რომელიც აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისთვის და მისი შეძენით უზრუნველყოს მასწავლებლის მხარდაჭერა.

**ინდიკატორი 2..3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა გეგმავს განვითრების ერთწლიან და ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმებში წარმოდგინოს კურიკულუმის განვითარების მონიტორინგის და შეფასების ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები და შესრულების ინდიკატორები. ამასთა ერთად, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მოომდევნო სასწავლო წლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

- სასკოლო სასწავლო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

9. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
10. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
11. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ შეფასების სისტემის დახვეწისათვის საჭიროა დიდი ძალისხმევა. ასეთი პრაქტიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სწორი შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. სკოლა თანდათან მიდის ამ მიმართულებით. შემდეგი სასწავლო წლისათვის გეგმავენ სასწავლო პროცესზე დაკვირვებისათვის საჭირო უნარების დახვეწაზე მუშაობას კოლეგების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საშუალებით.

**ინდიკატორი 2..3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კომპლექსური დავალებების სწავლების პროცესში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. მასწავლებლებთა გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას  დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

**ინდიკატორი 2..3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით.   მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია  უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

**ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ხედვა შეფასების პროცესზე გულისხმობს, შეფასებისას მნიშვნელობას სხვადასხვა ფაქტორის ხედვის პერსპექტივით. შეფასების მიზანი განსაზღვრავს იმასაც, რომ შეფასება (განსაკუთრებით განმავითარებელი) ინდივიდუალურია და სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ერთმანეთის გამოცდილებით სწავლობენ ამ ფაქტორების გათვალისწინებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

**ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

7. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
8. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მზაობა, სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით შეიქმნას საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი (ასევე სამუშაო ჯგუფის სამუშაო დებულება), რომელიც დაიწყებს მუშაობას ყველა დაინტერესებულ პირთან/პირებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან. ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს და საბოლოოდ შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. საჭიროებები იდენტიფიცირებული იქნება სამივე საფეხურის კურიკულუმთნ მიმართებაში. კურიკულუმის განვითარების ციკლური ხასიათი გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგიაში.

**ინდიკატორი 2..4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. ინტერვიუს ჩატარებისას გაირკვა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი 2..4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**ესთეტიკური აღზრდის კათედრა**

**2. სასკოლო კურიკულუმი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

## 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 ესთეთიკური აღზრდის საგნებში ( მუსიკა ხელოვნება) საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები . მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულიმის დაგეგმვისას.
**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2 ესთეთიკურ საგნებში საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებელი ადგენს მათ ინტერესებს თემასა და კომპლექსური დავალების ტიპებთან დაკავშირებით.
**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3 კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან რომელ თემებს ასწავლიან. რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ. რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ .
**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
-------------------------
-------------------------

4 კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის, ხოლო გასაბრების შედეგად გაირკვა, რომ საზოგადოებისთვის გაზიარება ხდება ვანდრაივის პლათფორმის მეშვეობით, ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და მასში იკვეთება მეთოდური ორიენტირები. ორივე საგანში პროცესის დაგეგმვა ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებებისა და საფეხურეობრივი შედეგების მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში მტკიცებულებებში ორივე საგანში საბაზო საფეხურის მუსიკა და სახვითი ხელოვნება ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გძელვადიან მიზნების, გლობალურ-ფუნქციური უნარების, სამიზნე ცნებებისა და შედეგების გათვალისწინებით. ძირითადად სკოლას საკუთარი კურიკულუმის ჩარჩო აქვს წარმოდგენილი, თუმცა მისი სტრუქტურული ერთეულებით თუ ვიმსჯელებთ სკოლას და კათედრას გააზრებული აქვს საფეხურეობრივი და საგნობრივი მოთხოვნილება,

**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნების ( მუსიკა, ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები. ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებებზე მუშაობისას მოსწავლეს აქვს არჩევანის საშუალება. ჩანს რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული დიფერენცირების და ინკლუზიური სწავლების მნიშვნელობა და იციან მიდგომები და სტრატეგიები. მტკიცებულებებით თუ ვიმსჯელებთ აღნიშნულ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

**4.** მტკიცებულებების სახით სკოლას კონკრეტულად არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები ( სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი შეფასების ერთი რომელიმე რუბრიკა), მაგრამ მუსიკის და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებული უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმები.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები ორივე საგანში ხელოვნებასა და მუსიკაში, სხვადასხვა ღონიშძიებებში კათედრის წევრების მონაწილეობა პროექტების სახით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , მოსწავლეთა შიდა მორიტორინგის ფორმები, სტრატეგიული გეგმები და ა.შ ჩანს რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და ანალიზის საფუძველზე ახდენს მომავალი სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

